MES 7 21 0000886278

09/09/2021

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ.თბილისი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. **დავით მალაზონია -** შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
2. **ქეთევან ბოტკოველი -** სსიპ - ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის პედაგოგი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს მდივანი;
3. **გიორგი გიგიბერია -** ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
4. **ქეთევან ნატროშვილი** - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
5. **ზვიად გოგუაძე -** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
6. **პერტე ბაბილუა -** შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
7. **ეკატერინე კვირიკაშვილი -** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
8. **ლიანა კობესაშვილი -** შპს „ინტელექტი XXI - ის“ მასწავლებელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
9. **ზაქარია ქიტიაშვილი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს წევრი;
10. **რევაზ აფხაზავა** - კოალიციის ,,განათლება ყველასათვის“ - საქართველო პოლიტიკის ადვოკატირების ოფიცერი, გამგეობის წევრი, ა(ა)იპ - განათლების პოლიტიკის დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
11. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკა
სკოლის დირექტორი - თამარ მაისურაძე

ა(ა)იპ- თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი
სკოლის დირექტორი - მარინე შოსტაკი
სკოლის მკურნალ-პედაგოგი - ლალი აბიათარი
სკოლის სასწავლი ნაწილის გამგე - თამთა თათუაშვილი
სკოლის პედაგოგი - ლალი ცერცვაძე
სკოლის პედაგოგი - თამარ გოგუაძე

შპს თბილისის თავისუფალი სკოლა
სკოლის დირექტორი - ამირან ამბროლაძე
სკოლის სასწავლო პროცესების მენეჯერი - ირმა მეფარიძე
იურისტი - თათია ზარქუა

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკა
მაკა ტუკვაძე

ა(ა)იპ- თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი
მაია ინასარიძე
ნინო გვარამაძე

შპს თბილისის თავისუფალი სკოლა
ხათუნა ბარაბაძე
ნოდარ ანგურიძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, დავით მალაზონია. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2021 წლის 26 აგვისტოს

ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე.
სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის თანამშრომელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის გამოქვეყნებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს ქართულ-ინგლისურ სკოლა ბრიტანიკაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. ა(ა)იპ - თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თბილისის თავისუფალი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იქნა წარდგენილი და დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. შპს ქართულ-ინგლისურ სკოლა ბრიტანიკაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით.
საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მაკა ტუკვაძემ. მან აღწერა შეფასების შედეგები და ძირითადი მიგნებები სტანდარტების შესაბამისად.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 13 და 14 ივლისს, სკოლის მოსწავლის მშობლის განცხადებისა და ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. მისი განმარტებით, მშობლის განცხადებაში წარმოდგენილი იყო სკოლაში განხორციელებული სარეიტინგო შემაჯამებელი წერების შესახებ. ექსპერტის თქმით, მშობლის გაღიზიანება გამოიწვია დაგვიანებით დაწყებულმა წერამ, რომელიც 5 საათის დაგვიანებით დაიწყო და მთელი ეს დრო მისი შვილი იმყოფებოდა საკლასო ოთახში პირბადით, სიცხეში და მშიერი, მოსწავლე დედას ატყობინებდა მობილური ტელეფონის საშუალებით ყოველივეს. ექსპერტის განცხადებით, მშობელმა მიმართა თხოვნით სკოლის დირექტორს, რომ გადაედოთ აღნიშნული გამოცდა, თუმცა დირექტორისგან უარი მიიღო, გარდა ამისა, მშობელი განცხადებაში წერდა, რომ სკოლაში სხვა პრობლემებიც არსებობდა. კერძოდ, სველ წერტილებთან დაკავშრებით, სადაც არ იყო ჰიგიენული ნორმები დაცული და არ მოდიოდა ცხელი წყალი.

ექსპერტის განცხადებით, სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებოდნენ მიმდინარე საშინაო, მიმდინარე საკლასო და შემაჯამებელი დავალებებით. მისი თქმით, მოსწავლის მიერ შემაჯამებელი დავალების გაცდენის შემთხვევაში, მოსწავლე ვალდებული იყო აღედგინა შემაჯამებელი დავალება სკოლაში გამოცხადებიდან ერთი კვირის ვადაში, საგნის მასწავლებლის მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინების საფუძველზე. ექსპერტის განმარტებით, სემესტრის ბოლოს სწავლის ხარისხის მონიტორინგის, აგრეთვე მოსწავლეთა მიერ სასწავლო შედეგების გაუმჯობესების მიზნით ტარდებოდა სასკოლო შემაჯამებელი წერა ტესტური ფორმით, დახურული კითხვებით. სასკოლო წერის შედეგი ფორმდებოდა, როგორც შემაჯამებელი დავალება. ექსპერტის თქმით, ასეთი ფორმით ჩატარებული სასკოლო შემაჯამებელი წერა, წინააღმდეგობაში მოდიოდა სასკოლო გეგმასა და ესგ-ს 32-ე მუხლის მე-8 პუნქტთან. ექსპერტის განცხადებით, სკოლას შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის განსაზღვრისას შეეძლო გაეთვალისწინებინა ესგ-ს 32-ე მუხლის მე-10 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, მოსწავლე ვალდებული იყო შეესრულებინა კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება, ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი სავალდებულო მინიმუმი და სკოლის მიერ დამატებით დადგენილი, ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში. აღნიშნულით სკოლა თავიდან აიცილებდა სასკოლო შემაჯამებელი წერების დროს წარმოქმნილი სირთულეებს, რაც ფიქსირდებოდა ცენტრში შემოსულ მშობლის წერილში. ექსპერტის თქმით, სემესტრული შეფასებისას შემაჯამებელი კომპონენტის მნიშვნელობის განსაზღვრისათვის, სკოლას შეეძლო ეხელმძღვანელა ესგ-ს 32-ე მუხლის, მე-4 პუნქტის ჩანაწერით.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა, მშობლის განცხადებაში დაფიქსირებულ სხვა პრომლემაზეც, რომელიც ეხებოდა სველ წერტილებს. მისი განმარტებით, ვიზიტის დროს სკოლის შენობის სამივე სართულზე სველ წერტილებში იყო სისუფთავე, თუმცა პირველი სართულის საპირფარეშოებში იყო კანალიზაციის სუნი. დაწესებულების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შენობის გარეთ არსებული საკანალაზაციო სისტემა იყო არასწორად მოწყობილი, მან არაერთხელ მიმართა ქალაქის შესაბამის სამსახურებს, თუმცა პრობლემის ძირეულად გადაჭრა ვერ მოხერხდა, ხდებოდა მილების გაწმენდა, რაც პრობლემას მხოლოდ მცირე ხნით ჭრიდა. ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს დაწესებულების ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მზად იყო ხელშეკრულება საკანალიზაციო მილების გამართვისათვის შეკვეთილი სამუშაოების შესახებ, თუმცა ხელშეკრულება ჯერ არ იყო ხელმოწერილი. ექსპერტის თქმით, ვიზიტის დროს, სკოლის შენობის გარეთ მიმდინარეობდა მოსამზადებელი სარემონტო სამუშაოები.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას მუდმივად მიეწოდებოდა წყალი, ბუნებრივი აირი და ელექტროენერგია, ვიზიტის განხორციელების საფუძვლიდან გამომდინარე გადამოწმდა დაწესებულების მიერ კომუნალური გადახდები და დადგინდა, რომ თებერვალსა და მარტში ბუნებრივი აირის გადასახადი იძლეოდა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ ამ თვეებში გათბობა ჩართული იყო. მისი თქმით, აღნიშნულის შესახებ განხორციელდა გასაუბრება იმ მშობელთანაც, რომელმაც განცხადებით მიმართა ცენტრს. მან აღნიშნა, რომ წელს

მეტ-ნაკლებად სითბო იყო სკოლაში, თუმცა წინა წლებში იყო სიცივე. ასევე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის მოსწავლეებთან საუბრის დროსაც, მოსწავლეებს არ დაუჩივლიათ სკოლაში გათბობის პრობლემებთან დაკავშირებით.
ექსპერტის განმარტებით, აღნიშნულ მე-5 კლასის მოსწავლესთან გასაუბრების შედეგად ირკვეოდა, რომ სარეიტინგო შემაჯამებელი წერის დროს სკოლის დირექციას მოსწავლეები არ შეუზღუდავთ, მათ შეეძლოთ გარეთ, სუფთა ჰაერზე გასვლა. ასევე, ექსპერტის თქმით, დირექციამ მოსწავლეები უზრუნველყო საკვები პროდუქტებითაც, მაგრამ აღნიშნულ მოსწავლეს საკვები პროდუქტი არ მიუღა.
ექსპერტმა ასევე, ისაუბრა დაწესებულების იმ ხარვეზებზე, რომლებიც ვიზიტის პერიოდში გამოიკვეთა. მისი განცხადებით, სასკოლო ლაბორატორიაში ონკანისა და გამწოვის არ არსებობის გამო შეფერხებული იყო ექსპერიმენტების ჩატარება. სასკოლო სივრცე არ იყო მორგებული ეტლით მოსარგებლე პირებისათვის, მაგალითად, საპირფარეშოებზე და სპორტულ დარბაზზე. ექსპერტის განმარტებით, სკოლას არ ჰქონდა ვებ-გვერდი. ასევე, მისი თქმით, დაწესებულებას არ ჰქონდა შემუშავებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06 ბრძანების შესაბამისად.
ექსპერტის განცხადებით, აღნიშნულთან დაკავშრებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაციები, რომლებიც ასახული იყო დასკვნაში.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ბოტკოველმა მიმართა სკოლის დირექტორს. მისი თქმით, კარგი საშუალება იყო როდესაც მონიტორინგს აწარმოებდა დაწესებულება არა ნიშნებისთვის, არამედ სკოლის საქმიანობის შეფასებისთვის და მოსწავლეთა საჭიროებების დადგენისთვის. ის დაინტერესდა, თუ რატომ მიიღო სკოლამ გადაწყვეტილება, მონიტორინგი გადაქცეულიყო შემაჯამებელ დავალებად.
სკოლის დირექტორის განცხადებით, სემესტრის ბოლოს მოსწავლეებისთვის აუცილებელლი იყო საკუთარი შედეგების ნახვა. აღნიშნული იყო მოტივაცია მოსწავლის შემდგომი განვითარებისთვის.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ბოტკოველმა მიმართა სკოლის დირექტორს, რომ მათ შეეძლოთ უბრალოდ განმავითარებელი შეფასებები მიეცათ მოსწავლეებისათვის.
სკოლის დორექტორის განცხადებით, განმავითარებელი შეფასება ბევრად მნიშვნელოვანი იყო მოსწავლეთათვის და ექსპერტებმა აღნიშნულთან დაკავშრებით მისცეს რეკომენდაცი, რომელსაც გაითვალისწინებდნენ.
სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, CAT-ის გამოცდის ფორმატის ტესტი, რამდენად გაიყვანდა მოსწავლეს შედეგებამდე, კერძოდ, რას ამოწმებდა სკოლა მსგავსი დახურული კითხვებით.
სკოლის დირექტორის განცხადებით, აღნიშნული კითხვებით ფასდებოდა და ჯამდებოდა მოსწავლის ცოდნა საგანში.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა განმარტა, რომ დაგეგმილი დიაგნოსტიკური წერა მაშინ იქნებოდა ეფექტური, თუ აღნიშნული მიცემდა სკოლას გარკვეული დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. მისი თქმით, ასეთი ტიპის დავალებები ვერ მიცემდა სკოლას დასკვნების შესაძლებლობას, რომელიც შემდეგ საფუძველი გახდებოდა სწავლების სტრატეგიისა გადახედვის, თუნდაც არსებული სასკოლო სასწავლო გეგმის. ამასთან, საბჭოს წევრის განცხადებით, არსებობდა წესი, კანონი, ეროვნული სასწავლო გეგმა და მოზარდის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობები და ამ კონტექსტში, როგორ დაიცვა სკოლამ მოსწავლის საუკეთესო ინტერესები.
სკოლის დირექტორის განცხადებით, მოსწავლის საუკეთესო ინტერესები კონკრეტულ დღეს დაირღვა, მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, რადგანაც ასეთი წერების ორგანიზება დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მისი თქმით, ძალიან დიდი ძალისხმევა იქნა გაწეული დაწესებულების მხრიდან, რომ აღნიშნული დროულად მოგვარებულიყო.

საბჭოს წევრი, რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული სტრატეგიული განვითარების გეგმის საკითხით, კერძოდ, დოკუმენტი დაწესებულებას არ ჰქონდა საერთოდ თუ შესაბამისი ფორმით არ იყო წარმოდგენილი.
ექსპერტის განმარტებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი გრძელვადიანი გეგმა არ იყო შესაბამისი ფორმით მოცემული და მოხდა სკოლის მიერ ფორმის განახლება.
საბჭოს წევრი დაინტერესდა, დასკვნაში დაფიქსირებული სკოლის მარეგულირებელ აქტებთან დაკავშირებით აღნიშნული შენიშვნებისა და ხელშეკრულებების საკითხით.
სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ სკოლას არ ჰყავდა რაღაც პერიოდის მანძილზე იურისტი და ამან განაპირობა დაფიქსირებული ხარვეზები. თუმცა ამ ეტაპზე ეს საკითხებიც მოწესრიგდა, რადგანაც ახალი იურისტი ჰყავს სკოლას.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 17:00 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 17:10 საათზე.

სხდომის თავმჯდომარის განცხადებით, განსაკუთრებული აქცენტი გამოიკვეთა დავალებების ტიპებზე, განმავითარებელ შეფასებებზე, რაც არ იყო მხოლოდ დავალების საკითხი, როდესაც მხოლოდ ტესტური გამოცდებით ხდებოდა დიაგნოსტირება ან თუნდაც შემაჯამებელი დავალება და მოსწავლის შეფასება. სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენად ხორციელდებოდა სკოლაში პროექტებზე დაფუძნებული სწავლება, რამდენად ხშირად იყო გაკვეთილზე სადისკუსიო გარემო, რამდენად იყენებდა სკოლა მრავალფეროვან და აქტიურ მეთოდებს სწავლების პროცესში. თავმჯდომარემ დააფიქსირა პოზიცია, რომ აღნიშნულის დეტალურად გადამოწმება იყო საჭირო.
მისი განცხადებით, დარღვევები იყო ძალიან ბევრი, მაგრამ რადგანაც სკოლა გამოხატავდა მზაობას ხარვეზებისა და რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით, მას მიეცემოდა შესაძლებლობა მონიტორინგის პირობებში აღნიშნული დარღვევების გამოსწორების.

ასევე, საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმაც დააფიქსირა პოზიცია, რომ სკოლას უნდა შეესრულებინა სამივე სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

აღნიშნულის შესაბამისად, საბჭომ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება, შპს ქართულ-ინგლისურ სკოლა ბრიტანიკასგანესაზღვროს 60 დღის ვადა მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად. საბჭოს სხდომის ოქმის გამოქვეყნებიდან 60 დღის ვადაში სკოლას ცენტრში უნდა წარმოედგინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ასევე, საბჭოს წევრებმა მიმართეს ცენტრს შუამდგომლობით, რომ დაწესებულების შემდგომი მონიტორინგის შეფასება განხორციელდეს სკოლაში ადგილზე ვიზიტით, ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით.

2.ა(ა)იპ - თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით.
საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მაია ინასარიძემ და ნინო გვარამაძემ. მათ აღწერეს შეფასების შედეგები და ძირითადი მიგნებები სტანდარტების შესაბამისად.
ექსპერტის განცხადებით, ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 26 და 27 ივლისს. ექსპერტმა განმარტა, რომ ორგანიზაციის, თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის ერთ-ერთი პროექტი იყო სამკურნალო-პედაგოგიური სკოლა და იგი განკუთვნილი იყო ფიზიკური და ინტელექტუალური პრობლემების მქონე ბავშვებისთვის. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში სკოლის მისია განსხვავებულად იყო წარმოდგენილი, ბენეფიციარებად ბავშვებისა და მოზარდების გარდა, დასახელებული იყვნენ ახალგაზრდები, რაც საავტორიზაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტში მართებულად იყო შესწორებული.
ექსპერტის განცხადებით, სამკურნალო-პედაგოგიური სკოლის პროგრამა გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან. სწავლება სკოლაში ხორციელდებოდა ვალდორფის სკოლის პროგრამით, რომელიც ადაპტირებული იყო განვითარებაში პრობლემების მქონე შესაძლებლობების ბავშვებისათვის. სწავლებაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვთარებას, კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა ისეთი საგნების სწავლებაზე, როგორებიც იყო: ხელოვნება (ფერწერა, თეატრი, თოჯინების თეატრი, მუსიკა, გუნდი), შრომით სწავლება (ხელგარჯილობა, ქარგვა და სხვა). მისი თქმით, სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა თერაპიული მხარდაჭერა: მასაჟი, სამკურნალო ევრითმია, არტთერაპია, სენსომოტორული თერაპია, იპოთერაპია, ლოგოპედიური და ფსიქოლოგიური მუშაობა. ბავშვებთან მუშაობის დროს ხორციელდებოდა ინდივიდუალური მიდგომა.
ექსპერტის განცხადებით, სკოლას ჰქონდა ადაპტირებული, ასევე ინდივიდუალური პროგრამები, რომლებიც შედგენილი იყო ცალკეული ბავშვის ინტელექტუალური, ფსიქოლოგიური და დიაგნოსტიკური თავისებურებებიდან გამომდინარე და თანაბარ პირობებს უქმნიდა სხვადასხვა პრობლემების მქონე მოსწავლეებს აკადემიური და საყოფაცხოვრებო უნარების განვითარებისთვის.
ექსპერტმა საბჭოს წინაშე წარდაგინა დასკვნაში დაფიქსირებული შეუსაბამობები და რეკომენდაციები. მისი განმარტებით, ერთმანეთს არ ემთხვეოდა სკოლის მიერ წარმოდგენილი დღის რეჟიმი და გაკვეთილების ცხრილი. როგორც სკოლის ხელმძღვანელობასთან ინტერვიუში გაირკვა, წარმოდგენილი დღის რეჟიმი შემუშავებული იყო პანდემიის პირობების გათვალისწინებით, თუმცა ასევე უნდა ყოფილიყო ამ პირობებთან მისადაგებული გაკვეთილების შეცვლილი ცხრილიც. ასევე, სასკოლო სასწავლო გეგმის ერთიან დოკუმენტად აღქმისათვის საჭირო იყო საქაღალდეში მოქცეული ყველა დოკუმენტის თავმოყრა და ერთიან ნარატიულ /აღწერით სტრუქტურირებულ ფორმაში მოქცევა.
ექსპერტის განცხადებით, გასაახლებელი იყო შეფასების პრინციპების დოკუმენტი. სასკოლო სასწავლო გეგმაში დეტალურად უნდა ყოფილიყო გაწერილი სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა ესგ-ს მოთხოვნები.
ექსპერტის განცხადებით, სკოლამ ვერ წარმოგვიდგინა 100 მოსწავლისათვის საჭირო მერხების რაოდენობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მისი თქმით, ვიზუალური დათვალიერებით კლასებში 26 ორადგილიანი და 12 ერთადგილიანი მერხი იყო, ერთიც ერთადგილიანი

ადაპტირებული მერხი და 100 სკამი, რომელთა შორის 11 იყო სტანდარტული. ექსპერტის განმარტებით, სკოლამ წარმოადგინა 5 ერთადგილიანი მერხისა და ამავე რაოდენობის სკამების შეძენის დამადასტურებელი სასაქონლო ზედნადები, რომელიც დათარიღებული იყო 02/07/2021-ით. მისი თქმით, შეძენილი საქონელი, როგორც სკოლის წარმომადგენელმა განუცხადა, დასაწყობებული იყო. ასევე, სკოლამ წარმოადგინა კერძო იურიდიულ პირთან 8 ერთეული ერთადგილიანი და 16 ერთეული ორადგილიანი მერხის დამზადების შესახებ ხელშეკრულება, რომელიც დათარიღებული იყო 01.06.2010 წლით.
ექსპერტის განმარტებით, სკოლას SWOT ანალიზის საფუძველზე შემუშავებული ჰქონდა განვითარების ექვსწლიანი გეგმა. მისი თქმით, ვიზიტის დროს სკოლის წარმომადგენლებს მიეთითათ, რომ მათ მიერ გამოგზავნილ ექვსწლიან გეგმაში იყო მხოლოდ საკითხთა ჩამონათვალი. ვიზიტის მსვლელობისას მათ წარმოადგინეს ექვსწლიანი გეგმა, რომელშიც მითითებული იყო როგორც შესასრულებელ სამუშაოთა ჩამონათვალი, ისე ინფორმაცია პასუხისმგებელი პირების შესახებ. ვადები მითითებული არ იყო. სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებდა ძირითადად მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებასა და გაუმჯობესებას, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. ექსპერტის განმარტებით, არაფერი იყო ნათქვამი პროგრამის განვითარებასა და დახვეწაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ განაცხადა, რომ სახელმწიფოს პოლიტიკა ინკლუზიურ განათლებასთან მიმართებით, გულისხმობდა აღნიშნული მოსწავლეების ინტეგრირებას სკოლაში. ის დაინტერესდა, იყო თუ არა ეს სკოლა საერთო პოლიტიკის ნაწილი და რამდენად იყო საგანმანათლებლო პროცესში ინკლუზიის პრინციპები გათვალისწინებული. ასევე, იყო თუ არა მულტიდისციპლინალური გუნდი ჩართული ამ პროცესში და თუ ხდებოდა აღნიშნულის შეფასება.
სკოლის დირექტორის განცხადებით, დაწესებულებაში იყვნენ სხვადასხვა პრობლემის მქონე მოსწავლეები, რომლებიც ვერ ისწავლიდნენ ჩვეულებრივ სკოლაში. მისი თქმით, სკოლა ყველაფერს აკეთებდა მოსწავლეების განვითარებისთვის. სკოლის დირექტორის განმარტებით, როდესაც მათმა მოსწავლეებმა სკოლა დაამთავრეს, ბევრი დასაქმდა სხვადასხვა ორგანიზაციებში.
სკოლის წარმომადგენლმა აღნიშნა, რომ სკოლა აქტიურად თანამშომლობდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და მათ რეკომენდაციებს ითვალისწინებდა. მათი სკოლა მანამდე არსებობდა, სანამ შეიცვლებოდა სახელმწიფო პოლიტიკა და სკოლა სახელმწიფოს შიდა და გარე სტანდარტებს ეთანხმებოდა და მუდმივად თანამშომლობდა მათთან. მისი თქმით, მათი დაწესებულება სკოლა არ იყო მხოლოდ და ძალიან დიდი დრო ეთმობოდა როგორც ხელოვნებას, ასევე სოციალურ ადაპტაციას. მან აღნიშნა, რომ თანამშომლობდნენ ვალდორფის სკოლასთან. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, სკოლაში ჰყავდათ პრაქტიკანტები, რომლებიც ერთი თვის განმავლობაში სოციალურ პრაქტიკას გადიოდნენ დაწესებულებაში და აქტიურად იყვნენ საგაკვეთილო პროცესში ჩართულები. ასევე, ძალიან აქტიურად იყვნენ ჩართულები სასკოლო ცხოვრებაში მათი მოსწავლეების მშობლები და დედ-მამიშვილები და სხვადასხვა ეტაპზე მათ ტიპური განვითარების მქონე ბავშვებთანაც უწევდათ შეხება ყოველდღიურ რეჟიმში.
სკოლის მკურნალ-პედაგოგის განმარტებით, სკოლა მორგებული იყო განვითარებაში პრობლემების მქონე ბავშვებისათვის და ტიპური განვითარების მქონე ბავშვის მშობელს არ მიუმართავს სკოლისთვის, გამონაკლისი შემთხვევების გარდა. მან გაიხსენა შემთხვევა, როდესაც ტიპური განვითარების ბავშვი, რომელიც ვერ მისდევდა სხვა სკოლის პროგრამას და ჰქონდა გარკვეული სახის მსუბუქი პრობლემები, ბავშვის მშობელს გაუჩნდა სურვილი,

მეთოდიკის გაცნობის შემდეგ მიეყვანა მისი შვილი აღნიშნულ სკოლაში. მისი თქმით, მოსწავლე ერთი წლის განმავლობაში სწავლობდა თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრში და ის დაეწია თავის ასაკობრივ დონეს.
საბჭოს წევრმა, ზაქარია ქიტიაშვილმა მიმართა ექსერტებს კითხვით, საგნის პედაგოგის კვალიფიკაცია თუ იყო შესწავლილი, შემაჯამებელი დავალებები როგორ იწერებოდა და სწავლის ხარისხი როგორ მოწმდებოდა სკოლაში.
ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა მასწავლებლების პირადი საქმეები. მისი თქმით, უმეტესობას არ ჰქონდა პედაგოგიური განათლება, ისინი არ იყვნენ რომელიმე კონკრეტული საგნის სპეციალისტები. მან ასევე აღნიშნა, რომ უმაღლესი განათლება ჰქონდა ყველას და 2 წლიანი სპეციალური გადამზადების კურსი გავლილი. ვალდორფის სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე ერთი მასწავლებელი ასწავლიდა რამდენიმე საგანს, ხოლო აქცენტი გაკეთებული იყო მეთოდოლოგიაზე.
საბჭოს წევრის, ეკატერინე კვირიკაშვილის განმარტებით, კანონმდებლობამ ცნო ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ჩანაწერი სენსორული, მძიმე, ღრმა ინტელექტიალური დარღვევებისთვის და ასევე ქცევითი აშლილობის მქონე მოსწავლეებისთვის რესურს სკოლების არსებობის შესახებ, თუმცა დასაზუსტებელი იყო რამდენად ეხებოდა ეს კერძო სკოლებს. მისი თქმით, რაც ეს ცვლილება შევიდა ძალაში, დამტკიცდა ნუსხა დოკუმენტების, რაც ჩარიცხვის დროს უნდა წარმოედგინა მშობელს სკოლაში. მან მიმართა ექსპერტებს კითხვით, ჰქონდათ თუ არა შესაძლებლობა ექსპერტთა ჯგუფს გაცნობოდნენ მოსწავლეების პირად საქმეებს და იყო თუ არა დაცული მინისტრის ბრძანება, სადაც გაწერილი იყო კონკრეტული დარღვევევის მიხედვით დოკუმენტაცია, რომელიც აუცილებელი იყო მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვისთვის.
ექსპერტის განცხადებით, მოსწავლეების პირადი საქმეები არ უნახავთ, მაგრამ გაეცნენ სკოლის დებულებასა და შინაგანაწესს, რომელშიც გაწერილი იყო რა დოკუმენტაცია უნდა წარმოედგინათ, როდესაც მოსწავლეს იღებდნენ სკოლაში. მისი თქმით, ყველა მოსწავლეზე იყო სამედიცინო-პედაგოგიური დასკვნა, რომელშიც აღრიცხული იყო მოსწავლის დარღვევები.
საბჭოს წევრის, რევაზ აფხაზავას განცხადებით, გამოიკვეთა დამატებითი გარემოებები, რომლებიც საჭიროებდა დაზუსტებას სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე.
საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და შუამდგომლობით მიმართეს ცენტრს აღნიშნული საკითხის განხილვის გადადების თაობაზე. მათი განმარტებით, გადაწყვეტილების მისაღებად სჭირდებოდათ დამატებითი ინფორმაცია ინკლუზიური განათლების საკითხებთან მიმართებით. საბჭომ ითხოვა სხდომაზე, რომელზეც მოხდებოდა საკითხის შემდგომი განხილვა, მოწვეული ყოფილიყვნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან და ასევე, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრიდან ინკლუზიური განათლების სპეციალისტები, რათა საბჭოს წევრებს შეძლებოდათ სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე დაეზუსტებინათ ინკლუზივთან დაკავშირებული საკითხები. ცენტრმა გაიზიარა საბჭოს წევრების შუამდგომლობა.

3. შპს თბილისის თავისუფალი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით.
საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ხათუნა ბარაბაძემ და ნოდარ ანგურიძემ. მათ აღწერეს შეფასების შედეგები და ძირითადი მიგნებები სტანდარტების შესაბამისად.
ექსპერტის განცხადებით, სკოლა აკმაყოფილებდა სამივე სტანდარტს, თუმცა დაწესებულებას მიეცა რეკომენდაციები. მისი განმარტებით, სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი საათობრივი ბადე წარმოადგენდა ეროვნული სასწავლო გეგმის 56-ე მუხლით განსაზღვრული საათობრივი ბადის მესამე მოდელს. აღსანიშნავი იყო, რომ სასკოლო სასწავლო გეგმით ყველა კლასს ჰქონდა 40 საათიანი დატვირთვა ესგ-ით გაუთვალისწინებელი სავალდებულო გაკვეთილების და არასავალდებულო საალმზრდელო მომსახურების სახით. პირველ კლასში სავალდებულოდ დამატებული ჰქონდა საათობრივი დატვირთვა მათემატიკას - 2.5 სთ და ჯამში ისწავლებოდა 7 საათი, ინგლისურ ენას 3,5 სთ და ჯამში ისწავლებოდა 4 სთ, ქართულ ენასა და ლიტერატურას 1 საათი - ჯამში 7 საათი. დღის მეორე ნახევარში დამატებითი მომსახურების სახით იყო დამატებული რობოტიკა - 1 სთ, ციფრული სამყაროს კლუბი - 1 სთ, წიგნიერება - 2 სთ, ფსიქოლოგის კლუბი 1 სთ, დავალების საათი - 4სთ, არჩევითი კლუბი - 2 სთ. ექსპერტის განმარტებით, დაწყებით კლასებს ჰქონდათ ორი 20 წუთიანი კვების შესვენება. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, აღნიშნული არ იყო საკმარისი ამ ასაკის მოსწავლეებისათვის, რადგან ასეთი დატვირთვის შემთხვევაში მოსწავლეებს უნდა შეძლებოდათ სრულფასოვანი დასვენებისა და კვების საშუალება. ექსპერტის თქმით, არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა ორი სახის საათობრივი ბადე, პანდემიის პირობებში და ჩვეულებრივ სასწავლო პირობებში, თუმცა დასვენების დრო ცოტა ბუნდოვანი იყო და სასურველი იყო უფრო თვალსაჩინოდ ყოფილიყო წარმოდგენილი დასვენებისთვის და კვებისთვის გამოყოფილი დრო.
ექსპერტმა ასევე, ისაუბრა კლასის დაძლევის შესახებ. მისი განმარტებით, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული იყო მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები. აკადემიური მოსწრება ფასდებოდა ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით. მისი თქმით, სკოლას გაწერილი ჰქონდა საშემოდგომო და სემესტრული გამოცდების ჩატარების წესი და პროცედურა. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი იყო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები საგნების მიხედვით.
ექსპერტ, ხათუნა ბარაბაძის განმარტებით, ესგ-ის თანახმად კერძო სკოლას შეეძლო დაეწესებინა ამ დებულებისგან განსხვავებული ზღვარი: „მუხლი 35. კლასისა და საფეხურის დაძლევა 5. კერძო სკოლებს და საგნის/საგნების გაძლიერებული სწავლების სტატუსის მქონე საჯარო სკოლებს უფლება აქვთ, დაადგინონ გაძლიერებული საგნის/საგნების დაძლევის ბარიერი, მაგრამ არანაკლებ ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ბარიერისა.“ .
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას განსაზრვრული ჰქონდა კლასიდან კლასში გადაყვანის შიდა ბარიერი, რომელიც შეადგენდა 6.0, მოსწავლე ბარიერის ვერ დაძლევის შემთხვევაში რჩებოდა იმავე კლასში კურსის ხელმეორედ გასავლელად, ასევე, მას ჰქონდა უფლება გადასულიყო სხვა სკოლაში, თუ მისი საგნის ქულა შეადგენდა 5,0-ს. ექსპერტის თქმით მნიშვნელოვანი იყო იმის გათვალისწინებაც, რომ სხვა სკოლიდან მსურველ მოსწავლეს, რომელსაც ჰქონდ 5.0 საგნის ან საფეხურის წლიური ქულა, არ ეზღუდებოდა შპს „თბილისის თავისუფალი სკოლის“ შესაბამის კლასში გადმოსვლა, რაც ექსპერტთა შეფასებით იყო დისკრიმინაციული მიდგომის ელემენტების შემცველი და არათანაბარ პირობებში აყენებდა თბილისის თავისუფალი სკოლის

შესაბამისი კლასის იმ მოსწავლეებს, რომლებმაც საგნში 5.0 -ს დაგროვების გამო ხელმეორედ უნდა გაევლოთ კურსი ან დაეტოვებინათ სკოლა.
ექსპერტის განცხადებით, არგუმენტირებული პასუხის დროს, სკოლამ არ გაიზიარა ექსპერტთა მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით და თვლიდა, რომ სკოლა არ მიიჩნევდა დისკრიმინაციის ელემენტების გამოყენებას. კერძოდ, არათანაბარ მდგომარეობაში არ აყენებდა სკოლის მოსწავლეებს და რომ სკოლა მოსწავლეებს უზრუნველყოფდა ყველა იმ რესურსით, რომელიც აუცილებელი იყო ამ გამოწვევის გადასალახად.
ექსპერტის განმარტებით, ეროვნული სასწავლო გეგმის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტი განსხვავებულობის დაშვებას აკეთებდა გაძლიერებული საგნის/საგნების დაძლევის ბარიერთან მიმართებით. რამდენადაც ექსპერტებისთვის იყო ცნობილი შპს „თბილისის თავისუფალი სკოლა“ არ სარგებლობდა არც ამ სტატუსით და არც ყველა საგანი ჰქონდა გაძლიერებული. მისი თქმით, თუ რომელიმე საგანი/საგნები ექნებოდა გაძლიერებული, მაშინ ნამდვილად თანაბარ პირობებში აღმოჩნდებოდნენ მოსწავლეები, რადგან იგივე ბარიერის გათვალისწინებით მოხდებოდა მოსწავლეების მობილობაც. ექსპერტის განცხადებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 193/ნ ბრძანებით რეგულირდებოდა სკოლაში მოსწავლეთა მობილობა და ამ ბრძანების მიხედვით: „6. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული რომელიმე საგნის/საგნების გაძლიერებულ სწავლებას, უფლებამოსილია მობილობის მსურველი მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, ელექტრონულად მოსწავლის მობილობის განხორციელებამდე, გაძლიერებული სწავლების საგანში/საგნებში ჩაატაროს გამოცდა მიმღები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ცალკეული კლასის/კლასების სასკოლო სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონესთან მოსწავლის ცოდნისა და უნარების თავსებადობის დადგენის მიზნით.“
ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ წარადგინა მიგნებები მატერიალური რესურსების სტანდარტთან მიმართებით. მისი განცხადებით, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებდა სკოლის ვებ - გვერდი, ელექტრონული ფოსტა და სოციალური ქსელი. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებული იყო ინფორმაცია სკოლის შესახებ, მისია, სკოლის ადმინისტრაციის შემადგენლობა, სკოლაში მიღება, სწავლის საფასური და ფასდათმობები, სკოლის დებულება და შინაგანაწესი. ასევე, განთავსებული იყო ინფორმაცია ფრესქულისა და საშაბათო სკოლის შესახებ, თუმცა ვიზიტის პერიოდისთვის არ მუშაობდა „სიახლეების“ ღილაკი. ექსპერტის განმარტებით, სკოლა არგუმენტირებულ პასუხში იტყობინებოდა, რომ ვიზიტის პერიოდის დროს მიმდინარეობდა სკოლის ვებ - გვერდის განახლების პროცესი, მაგრამ დასკვნის წერის დროსაც კი, ვებ-გვერდის ყველა ღილაკი არ მოიცავდა განახლებულ ინფორმაციას, მაგალითად, სკოლის მისია არ იყო შეცვლილი, დებულება არ იყო განახლებული.
ექსპერტის განცხადებით, სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი სრულად კონტროლდებოდა ვიდეო-კამერებით. სკოლის შენობის შიდა სივრცის ვიდეო-დათვალიერება ხდებოდა 87 ვიდეო-კამერის საშუალებით, მათგან 53 დამონტაჟებული იყო კლასებსა და კაბინეტებში. მისი თქმით, საკლასო ოთახებში დამონტაჟებულ კამერებთან დაკავშირებით სკოლამ განმარტა, რომ მათ იყენებდნენ მხოლოდ ტესტირებების დროს, გადაწერის პრევენციის მიზნებისთვის. ექსპერტმა აღნიშნა, რომ არგუმენტირებული პასუხით სკოლა არ ეთანხმებოდა ექსპერტთა რეკომენდაციას - კლასებიდან კამერების მოხსნის შესახებ და აცხადებდა, რომ ამის უფლება სკოლას ჰქონდა, რადგან კანონმდებლობით არ ეკრძალებოდა.
ექსპერტმა განმარტა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კლასებში კამერების აკრძალვის იმპერატიული მოთხოვნა ჩაწერილი იყო საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ N06/ნ ბრძანების, 41-ე მუხლის მე-3 პუნქტში. მისი თქმით, ამავე ბრძანების საფუძველზე ნებისიერი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან გამოიყენებდა ზემოთაღნიშნულ ბრძანებას, ან შეიმუშავებდა საკუთარ უსაფრთხოების წესებს

და შეათანხმებდა სამინისტროსთან. ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის პერიოდში, როგორც ზემოთაც აღინიშნა, სკოლას ჯერ არ ჰქონდა შეთანხმებული საკუთარი უსაფრთხოების წესების პროექტი და შესაბამისად არც დამტკიცებული, ამდენად, ვიდრე შეათანხმებდა საკუთარ უსაფრთხოების წესებს, სკოლა ვალდებული იყო ეხელმძღვანელა აღნიშნული ბრძანებით, რომელიც კრძალავდა კამერების კლასებში დაყენებას.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა მიმართა ექსპერტს კითხვით და თხოვა დაეზუსტებინა, ჰქონდა თუ არა სკოლას საგნებისთვის გაძლიერებული სტატუსი მინიჭებული, როდესაც საფეხურის/კლასის დაძლევისთვის დაწესებული ჰქონდა ბარიერი ყველა საგანში.
ექსპერტის განცხადებით, გაძლიერების ელემენტები არ ჰქონდა სკოლას წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმაში. გარკვეულ საგნებში ჰქონდა სკოლას სააათები დამატებული და სადაც ჰქონდა დამატებული, პროგრამულად არ იყო მკაფიო და დადასტურებული.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა მიმართა სკოლის წარმომადგენებს კითხვით, რომ პირობითად, თუ ის სწავლობდა აღნიშნულ სკოლაში და მათემატიკაში მიიღო 5.0 ქულა და არა სკოლის მიერ დაწესებული 6.0 ქულა, ამ მოცემულობით დაენიშნებოდა საშემოდგომო გამოცდა, ან კლასში დარჩებდა ან სხვა სკოლაში გადავიდოდა. ერთი კვირის შემდეგ, რომ მიემართა ჩარიცხვის მოთხოვნით, მიიღებდა თუ არა სკოლა.
სკოლის იურისტის განცხადებით, თუ მობილობით მიმართავდა იგივე მოსწავლე, ვალდებული იყო სკოლა ჩაერიცხა.
საბჭოს წევრმა, გიორგი გიგიბერიამ აღნიშნა, რომ საკლასო ოთახებში კამერების არსებობა იყო კანონის დარღვევა და ეს საკითხი მისთვის პრინციპული მნიშვნელობის იყო. ეს გარემოება კენჭისყრის დროს მის გადაწყვეტილებაზე მოახდენდა ზეგავლენას, რადგან არანაირი მექანიზმი არსებობდა იმის გაკონტროლების, აღნიშნული კამერები ყოველთვის ჩართული იქნებოდა თუ მხოლოდ ტესტირების დროს.
სკოლის იურისტის განცხადებით, ნებისმიერ შემთხვევაში დაწესებულება სრულად დაემორჩილებოდა სამინისტროს გადაწყვეტილებას. მისი თქმით, უსაფრთხოების წესი, რომელიც გააგზავნა სკოლამ 12 აგვისტოს სამინისრტოში, შენიშვნის უკუკავშრი მიიღო სკოლამ.
სკოლის იურისტის განმარტებით, შენიშვნა ეხებოდა არა კამერების არსებობას კლასებში, არამედ ვიდეო-ჩანაწერის შენახვის ვადას. სკოლის იურისტის განცხადებით, უსაფრთხოების წესთან დაკავშირებით დადებითი ან უარყოფითი პასუხის შემთხვევაში ცენტრში წარმოადგენდნენ ინფორმაციასა და შესაბამის დოკუმენტს.
საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს კითხვით, სკოლის მისიას და ხედვას რამდენად ეთანხმებოდა დაწესებულების სახელი „თავისუფალი სკოლა," ის რომ, კლასებში იყო კამერები, ბარიერები ნიშნებთან დაკავშირებით და ასეთ რეგლამენტირებულ გარემოში როგორ გეგმავდა სკოლა აზროვნების თავისუფლების მიღწევას.
სკოლის იურისტის განცხადებით, აღნიშნული კამერები იყო გამორთული.
საბჭოს წევრის, ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, აღნიშნულიდან გამომდნარე სკოლის მისია საჭიროებდა გადახედვას. სკოლის იურისტის განცხადებით, სკოლის მისია შეცვლილი იყო, გაითვალისწინა სკოლამ ექსპერტთა რეკომენდაციები და შეცვლილი სახით წარადგინეს ხარისხის ცენტრშიც.
საბჭოს წევრი, ზაქარია ქიტიაშვილი შეეხო გაძლიერებული სწავლების საკითხს, რომელიც პირდაპირ იკითხებოდა სკოლის მისიაში. მისი განმარტებით, მისიაში გაწერილ ნარატივებს შორის გამოკვეთილად ჩანდა ფრაზა: „ჩამოუყალიბდეს მოსწავლეს საფუძვლიანი რაოდენობრივი და სივრცითი აზროვნება",საბჭოს წევრის განმარტებით, პირდაპირ გაძლიერებული მათემატიკის მიმართებით იყო აღნიშნული ჩანაწერი.
სკოლის იურისტის განცხადებით, მათ სურდათ საგნის/საგნების გაძლიერება და შესაბამისი სტატუსის მიღება, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით დღემდე ვერ მიიღეს პასუხი, ჰქონდა

თუ არა კერძო სკოლას აღნიშნულის უფლებამოსილება და რა მტკიცებულებები უნდა წარმოდგენილიყო მათი მხრიდან აღნიშნულის დასადასტურებლად.
საბჭოს წევრის, ეკატერინე კვირიკაშვილის განცხადებით, სკოლას სტატუსი არ ჭირდებოდა, სკოლა იყო კერძო და საათობრივი ბადით, კურიკულუმით უნდა გაეძლიერებინა საგანი. აღნიშნული სკოლას თავის კურიკულუმში უნდა ჰქონოდა დაფიქსირებული. საბჭოს წევრის განცხადებით, მაშინ გავრცელდებოდა სკოლაზე 193/ნ ბრძანებით გათვალისწინებული შესაბამისი მოთხოვნები.
სკოლის იურისტის განცხადებით, სკოლის საათობრივი ბადე მათემატიკაზე იყო ორიენტირებული. ექსპერტის განცხადებით, ბარიერი უნდა ყოფილიყო მხოლოდ მათემატიკაში დაწესებული და იმ საგნებში რომლებიც სკოლას ჰქონდა გაძლიერებული და აღნიშნული სასკოლო სასწავლო გეგმაში უნდა ჩაწერილიყო. მისი თქმით, ესგ-ს 35-ე მუხლის ჩანაწერი ყველა საგნის გაძლიერების უფლებას აძელევდა სკოლას.
ცენტრის წარმომადგენლის განცხადებით, კანონმდებლობის განმარტებასთან დაკავშირებით, საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირები ერთნაირად განმარტავდნენ, რომ საგნის/საგნების გაძლიერება ეხებოდა როგორც კერძო, ისე საჯარო სკოლებს.
სკოლის იურისტის განცხადებით, თუ სკოლას ექნებოდა გაძლიერებული საგანი მათემატიკაში, ამისთვის ჩაუთვლიდნენ მხოლოდ საათობრივ ბადეს, კურიკულუმს და აღნიშნული შეთანხმებული უნდა ჰქონოდათ სამინისრტოსთან.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებს დამატებით კითვები არ ჰქონიათ.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში თუ სამინისტრო დართავდა ნებას საკლასო ოთახებში კამერების დატოვებაზე, მისი რეკომენდაცია იყო მოეხსნათ კამერები საკლასო ოთახებიდან.
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდათ განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით სკოლას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 750 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც და მათ დაადასტურეს, რომ შეფასების შედეგად, სკოლის რესურსები აკმაყოფილებდა მათ მიერ დაფიქსირებულ მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას.

საბჭომ მიმართა დაწესებულებას, რომ დასკვნაში დაფიქსირებული რჩევები და ზეპირი მოსმენის დროს გაცემული რეკომენდაციები, გაეთვალისწინებინათ და აღნიშნულის თაობაზე მოეხდინათ ცენტრის ინფორმირება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის თავისუფალი სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 750 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 1

საბჭოს წევრმა, გიორგი გიგიბერიამ, მხარი არ დაუჭირა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს და განმარტა, რომ მისთვის მიუღებელი იყო საკლასო ოთახებში კამერების არსებობა.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალი სკოლას (ს/კ:405234438) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 750 - ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 20:00 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბოტკოველი ქეთევან